



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა

და

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციას შორის

ქ. ბათუმი

26 დეკემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია (შემდგომში - „სასაზღვრო პოლიცია“), წარმოდგენილი სასაზღვრო პოლიციის უფროსის, თეიმურაზ კველიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის, ირაკლი შარაბიძის სახით, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპების საფუძველზე, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1

1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია შემუშავდეს და განხორციელდეს საგანმანათლებლო და საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები (საგანმანათლებლო პროექტები, სასწავლო კურსები, ტრენინგები სემინარები, ლექციები, პრეზენტაციები, კონფერენციები, საინფორმაციო კამპანიები, და სხვ.).
2. დასახული მიზნების მისაღწევად, მაქსიმალურად ეფექტურად იქნას გამოყენებული სასაზღვრო პოლიციისა და უნივერსიტეტის არსებული ინტელექტუალური რესურსი.

მუხლი 2

1. წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე, მხარეები დამატებითი ანაზღაურების გარეშე, უზრუნველყოფენ, მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
2. მხარეები უზრუნველყოფენ, პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული სამუშაო და საკონსულტაციო შეხვედრების განხორციელებას.
3. სასაზღვრო პოლიცია ხელს შეუწყობს უნივერსიტეტს სასაზღვრო პოლიციის ქვედენაყოფებში სტუდენტების ვიზიტების განხორციელებას.
4. სასაზღვრო პოლიცია ხელს შეუწყობს უნივერსიტეტს სასაზღვრო პოლიციის ქვედენაყოფებში სტუდენტების პრაქტიკისა, სტაჟირების პროგრამებისა და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.
5. საჭიროებიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი სემინარები, კონფერენციები, საჯარო ლექციები ან სხვა სახის ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს სასაზღვრო პოლიციასა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და მათი ინტელექტუალური და ადამიანური რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

მუხლი 3

1. თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და სფეროები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ცალკე ხელშეკრულებით.
2. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული კონკრეტული აქტივობების განხორციელება, განისაზღვრება დამატებითი წერილობითი მხარეთაშორის შეთანხმებით და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 5

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 6

წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი (2) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით.
2. წინამდებარე მემორანდუმის მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი ფორმით წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ინფორმირების გზით.

მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს
სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება -
საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
მის: თბილისი, ს. კანდელაკის N12;

სსიპ - სასაწავლო უნივერსიტეტი -
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო
აკადემია
მის: ბათუმი, შ. რუსთაველის გამზ. N53;

სასაზღვრო პოლიციის უფროსი


თეიმურაზ კვეციანი

აკადემიის რექტორი


ირაკლი შარაშიძე